ეროვნული ბიბლიოთეკა

25-ს აპრილს, № 11 1887 წელსა.

# მწყემსი

1883-1887

მწყემსი დამატებით გამოდის თვეში ხუთჯერ, უკველი თვის ათს, ოცს და ოც-და-ათ რიცხვებში.


გაზეთის ფასი:

| | | |
|---|---|---|
| ერთი წლისა გაგზავნით დაგაუგზავნელად | 5 მან. | |
| ნახევარი წლის | — — — | 3 — |
| „მწყემსი“ რუსული დამატებით | — | 6 — |
| ნახევარი წლით | — — — | 4 — |
| ცალკე რუსული დამატება წლით | — | 3 — |
| ნახევარი წლით | — — — | 2 — |

გაზეთის ფულ.ის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: *Въ Кви-рилы, Въ редакцію „Мцкемси“ (Пастырь).*

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდავათ, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი. ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიე-ბი შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ.

სტატია, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკან-ვე დაუბრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულ ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.


## რედაქციისაგან.

წარსულ. წელში გარდავსწყვიტეთ ჩვენ „მწყემ-სი“-ს სამჯერ გამოცემა თთვეში იმ აზრით, რომ ფოს-ტას შევრიგებოდით ჩვენი გამოცემის გაგზან-გამოგ-ზავნას იმ პირობით, რა პირობითაც იგზავნებოდნენ ყველა თვიური და კვირეული გამოცემანი. ჩვენდა სამწუხაროდ, ჟურნალ-გაზეთების გაგზავნის შესახებ არსებული კანონები სრულებით შესცვალეს ამ წელ-ში და სხვა წეს-დებულება დაარსეს. წინეთ კვირეულ და თვიურ გამოცემისათვის საკმაო. იყო. რედაქ-ციას გარდაეხადა ათი შაური თითო. ეკზემპლიარზე და ამ წელ.ში ერთბაშად მოუმატეს გარდასახადს, რომელიც ოთხმოც კაპეიკზე აიყვანეს. ეს ძლიერ სამ-ძიმო. შეიქნა ყველა თვიურ, ორ კვირეულ და კვირე-ულ გამოცემათათვის, რაისა გამო. რუსულ კვი-რეულ და თვიურ გამოცემათა ზოგიერთებს ფასი მოუმატეს. ჩვენ კი სურათების შექდვა მოუ-მატეთ გამოცემას, მაგრამ ამის გამოც არ მოგვიმატებია ფასი ხელის მომწერთათვის იმ აზრით, რომ ყველას შევაძლებინოთ ,,მწყემსი‘‘-ს გამოწერა და კითხვა.

ჟურნალის სურათებით გამოცემა და მერე ისიც ჩვენს ქვეყანაში, სადაც სურათების ამომჭრელ ოსტატებს თითქმის სრულებით ვერ ნახავ, ძლიერ საძნელო. საქ-მეა, მაგრამ ჩვენ არ დავზოგავთ ჩვენს საშ-უალებას, რომ გამოცემის საქმე თან-და-თან გავაუმ-ჯობესოთ. ამ მიზნით ჩვენ ვაპირებთ ამ დღეებში პე-ტერბურგში წასვლას, რომ საქმე დავიკავოთ პირ-და-პირ მცოდნე და გამოცდილ სურათების ამომჭრელ ოსტატებთან და თან მიგვაქვს მრავალი ჩვენი კუთხის შესანიშნავი ეკკლესიების, მონასტრების და ადგი-ლების ფოტოგრაფიული სურათები. ივნისის თვიდ-გან ,,მწყემსი‘‘-ს ყოველ ნომერში იქნება თი-თო. სურათი და ხან დის.ხან ორ-ორიც. ამისათვის და სხვა-და-სხვა მოფიქრებათა გამო. და ნამეტურ ფოსტის კანონების შეცვლისა გამო ჟურნალ - გაზეთების გზავნის შესახებ, ჩვენ იძულებული ვართ „მწყემსი“ ორ კვირაში ერთჯერ, ყოველ თვის 15 და 30-ს გამოვსცეთ, მაგრამ 12-ტი გვერდის მაგიერ 16-ტი გვერდი და საჭიროების დროს დამატებით. ამ ანგარიშით მკითხველებს სრუ-ლებით არა აკლდებათ-რა და გამოცემაც წლის დამლევს იმდენივე იქნება, რამდენიც იქნებოდა სამ ჯერ თვეში გამოცემით. ეს ნომერი «მწყემსი» სა გამოდის ადრე, ვინაიდგან ცოტა თავისუფალ დროს თხოვილობს სტამბის უმჯობესად გაწყობა. შემდეგი ნომრები „მწყემსი“-სა გამოვა 15 მაისს.

## შემცდარი შეხედულება.

ხშირად როგორც თვითეულ კაცს კერძოდ, ისე მთელი სოფლის და მაზრის ხალხს უვარდება ცუდი სახელი საზოგადოებაში. ეს ცუდი სახელი ისე უჯდება ზოგიერთებს ძვალში და რბილში, რომ საკმაოა მათთვის დაუსახელოთ ამისთანა კაცი, სოფელი და მაზრა, რომ მათ მაშინვე გითხრან: ,,ნაზარეთიდგან კარგი რა გამოვა!!! ამ სახითვე ხშირად სრულებით უსაფუძვლოდ ვრცელდება კარგი ხმები ზოგიერთ პირზე და სოფლის და მაზრის ხალხზე. არ შეიძლება სთქვას კაცმა, რომ ყველა ამისთანა ცუდ და კეთილ ხმებს ცოტა საფუძველი არა ჰქონდეს, მაგრამ ზოგიერთს შემთხვევაში სრულებით უსაფუძვლონი და უადგილონი არიან. ავილოთ, მაგალითებრ, შორაპნის მაზრის ხალხი და ზოგი პირების ამ ხალხზე შეხედულობა. ზოგიერთებისათვის საკმაოა თავისი ახირებული აზრი შეადგინონ კაცზე, როდესაც შეიტყობენ, რომ ეს კაცი შორაპნელია. ა-ა-ა! ა-ა-ა! შორაპნის მაზრიდგან არის? ვიცი, რა შვილიც იქნება! პატარაობისას მე დავესწარი შორაპნის მაზრის ორიოდე ,,ნაჩალნიკის" საუბარს საზოგადოებაში და როცა მათი ნათქვამი სიტყვები მოვისმინე შორაპნის მაზრის ხალხის ენაზე და მოქმედებაზე, სწორეთ შევფიქრდი და ამ მაზრაში წამოსვლის მეშინოდა. მაგრამ აგერ ოცი წელიწადი გადის, რაც ამ მაზრაში ვარ და სრულებით ამ ხალხში ის არ შემინიშნავს, რასაც ეს ,,ნაჩალნიკები" ამბობდნენ. ერთხელ ამ მაზრის ეხლანდელ უფროსს ერთმა დიდმა პირმა ჰკითხა, თუ რამდენი ხანია ის ამ მაზრაში უფროსად და როცა გაიგო მან, რომ ის ამ მაზრაში თვრამეტი წელიწადია უფროსად.. გაკვირვებით უპასუხა: ,,არ შეიძლება!" შორაპნის მაზრაში რომ უფროსი და ,,ნაჩალნიკი" დარჩეს თვრამეტი წელიწადი, ეს შეუძლებელია! სულ ცოტა ხანში შორაპნის სასამართლომ რამდენიმე მომრიგებელი მოსამართლე გამოიცვალა, ვერავინ ვერ გაძლო აქ დიდ ხანს და თქვენ როგორ დარჩით ამდენ ხანს?—სწორეთ 18 წელიწადია, რაც აქა ვარ, მიუგო უფროსმა. ზოგიერთი მეუმფროსენი თავის სარგებლობისა და თავის გამოჩენისათვის ბევრ საძაგელ ცილს სწამებენ ხოლმე ხშირად ზოგიერთ პირს და მთელს საზოგადოებასაც. რუსული ანდაზა: Худая молва бѣжитъ, а добрая—лежитъ (ცუდი ხმა ჰფრენს და კეთილი—წევს) სწორეთ მართალია. რასაკვირველია არ შეიძლება, რომ შორაპნის მაზრაშიაც არ იყვნენ აქა-იქ ზნეობით დაცემული პირნი, მაგრამ რომელ ხალხში არ არიან ამისთანა პირები? ამისთანა ზნეობით დაცემული პირები საზოგადოებაში ყველგან ყოფილან, არიან და იქნებიან, როგორც აქ, ისე ყველგან... შორაპნის მაზრის ხალხში ჩვენის დიდი ხნის დაკვირვების შემდეგ იმისთანა რამეები, რასაკვირველია კარგის მხრით, შევნიშნეთ, რომელსაც თქვენ ძვირად შენიშნავთ სხვაგან.

ერთ დროს მაზრის სასამართლოში ამ სასამართლოს მდივანმა თითქმის 3,000 მანეთამდე საზოგადოების და სახელმწიფო ფულები შეჭამა. შეიტყო ეს მთავრობამ. დაინიშნა გამოძიება. დაიჭირეს შენი მდივანი. საზოგადოებას შეებრალა ეს კაცი და დაავირა ხელის მოწერით შეკრება ფულებისა, რომ ამ სახით შეევსოთ შეჭმული ფულები. ბოლოს შეჭმული ფულების რიცხვი კიდევ მეტი აღმოჩნდა და ამდენი ფულების შევსება ვეღარ შესძლო საზოგადოებამ. შორაპნის სამაჯულოს უკანასკნელ მოსამართლეს, განსვენებულ არსენიევს კანცელარიის ფულები შემოეხარჯა. საზოგადოებამ შეჰკრიბა ეს ფულები და შეავსო მისი გარდაცვალების შემდეგ!.. ამისთანა შეკრებილი ფულებითვე გაასვენა და დამარხა ის დაბა ყვირილის მცხოვრებლების საზოგადო სასაფლაოზე და არა ტყეში, როგორც ამას უსაფუძვლოდ და უმართებულოდ წერდა ერთი ვიღაცა კორრესპონდენტი გაზეთს въ „Кавказское обозрѣніе"-ში. შორაპნის მაზრამ, მართალია, ამ ცოტა ხანში ბევრი მოსამართლეები გამოიცვალა, მაგრამ რისი და ვისი მიზეზებით? ერთი მოსამართლე მოვიდა ძლიერ კარგი და პატიოსანი, მაგრამ მას ფილტვების მარტო ერთი მეათედი ნაწილი მოჰყვა და ცოტა ხნის შემდეგ გარდაიცვალა. მოვიდა მეორე, მაგრამ ოჯახური საქმეებისაგამო რუსეთში წავიდა. დადგა მესამე, მაგრამ მდინარეში ბანაობის დროს ავი ზნე დაემართა და დაიხრჩო. მოვიდა მეოთხე და იმასაც ნახევარი ფილტვები არ მოჰყოლია; რაც მოჰყვა, ისიც ლვინომ დასწვა და გარდაიცვალა. რა შუაშია აქ ხალხის უთვისობება და ადგილის ჰავა?!

ავიღეთ თუ გინდ სხვა მოსული მოსამსახურეებიც. სამოც-დაათში დანიშნეს აქ ერთი ექიმი, რომელიც ჰკუაზე ცოტა სუსტად გრძანდებოდა. არაფერს არ აკეთებდა, მაგრამ მცხოვრებლების საჩივარი არავინ გაიგონა. ბოლოს გაგიჟდა ეს კაცი და თბილი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სის საგრძე სახლში გარდაიცვალა. დანიშნა მეორე ექიმი ძლიერ ტან-მრთელი, მაგრამ ექიმობის ცოდნის კირა მოგახსენოთ... მართებულობამ გადაიყვანა ის სადღაც ელისაველოპოლისკენ. მცხოვრებლებმა სთხოვეს გუბერნატორს, რომ დაებრუნებინათ ისევ თავის ადგილზე შორაპანში ეს ექიმი,—ამბობდნენ თხოვნაში: თუმცა როგორც ექიმი ის დიდი შესანიშნავი არ არის, მაგრამ როგორც კაცი კარგი ხასიათის არისო... არ შეიწყნარეს ეს თხოვნა! დანიშნეს სხვა. ეს ექიმი საშინელი მტერი იყო სასმელების და მალე გარდაიცვალა. წელიწადში ეს ექიმი 3000 მანეთამდე იღებდა, მაგრამ თუმანი არ დარჩენია სიკვდილის შემდეგ, ყველას ხარჯავდა საჭმელ-სასმელში. საზოგადოებამ შეჰკრიბა დასამარხი ფული და ისე გაასვენა. დაინიშნა მეოთხე, მაგრამ ქუთაისში გამოუჩნდა უკეთესი ადგილი და იქ გადავიდა. ეხლა მოვიდა მეხუთე ექიმი და ჯერ-ჯერობით არსად მიდის. შორაპნის მაზრის ჰავა და ხალხის ზნე და მოქმედება რა ნუსაშია აქ! ჭეშმარიტად ამ მაზრის ხალხის ზოგიერთი თვისება და სიქველი სწორედ საქებია. ამ მაზრაში ემალებოდა სასამართლოს და პოლიციას ერთი ნაფიცრალი ხერსაკოვი. იმას დასაჭერად დასდევდნენ და შორაპნის მაზრაში ექიმობას ჩემულობდა. ის პირველ ექიმათ მიიღეს დიდი პატივისცემით!...

ყველა ცუდი ხმები, რაც გავრცელებულია შორაპნის მაზრის მცხოვრებლებზე, იმისთანა პირების ცილის წამება არის, რომელნიც ერთი ათად უფრო მდაბალნი არიან ზნით და მოქმედებით უკანასკნელ შორაპნის მაზრის ზნით დაცემულ მცხოვრებზე, და ვინც ამ უსაფუძვლოდ დაყრილ ხმას ერწმუნება, ის დიდად შემცდარია.

## საეკლესიო წიგნების სიძვირე.

ამ ჟამად დასავლეთის საქართველოს ეკკლესიებში რიგდება ახლად დაბეჭდილი საეკკლესიო წიგნები: ჟამნი და კონდაკი, გამოცემულნი ექვთიმე ხელაძისაგან თბილისში, 1884 და 1885-ს წლებში.

კანტორის ანგარიშით ამ წიგნების ფასად არის დანიშნული: ჟამნისა—სამი მანეთი და სამი შაური, კონდაკისა—ორი მანეთი და ორი აბაზი.

წინა წლების ფასებთან შედარებით ეხლანდელი ფასი ერთობ მომეტებულია. ჟამნი, მაგალითებრ, 1857-ში იყიდებოდა მანეთ ნახევრად; 1874-ში მანეთად და ორმოც-და-თორმეტ კაპეიკად; 1880-ში მანეთად და შვიდ შაურად და ეხლა ერთ-ბაშად მანეთისა და შვიდი შაურიდამ ფასი აუწევია სამ მანეთს და სამ შაურზე. კონდაკიც ასე იყო; 1857-ში კონდაკი ისყიდებოდა ერთ მანეთად და სამ აბაზ ნახევრად და ეხლა ორ მანეთად და ოთხ აბაზად. ესე იგი ორივე ეს წიგნები ერთი ორად გაძვირებულა წინანდელთან შედარებით.

უეჭველია, ამ გარემოებას თავისი საბუთი ექნება. სინოდის კანტორამ კარგათ იცის ჩვენი ეკკლესიების სიღარიბე და უმიზეზოდ ხარჯში არ შეიყვანდა იმათ, მაგრამ არ შეიძლება განა ისევ იმ პირობაში ჩადგნენ წიგნის ბეჭდვის მოთავენი, რომელშიაც იყვნენ ისინი წარსულს წლებში? ქაღალდი ხომ არ გაძვირებულა, სტამბის ხარჯს ხომ არა მომატებია-რა, ან წიგნის აკინძვის გასავალს, რომ არ შეიძლებოდეს წინანდელი ფასების აღდგენა?

ჩვენი ეკკლესიები იმდენად ღარიბნი არიან, იმდენი ხარჯი ეთხოვებათ იმათ სასულიერო მთავრობისაგან, რომ, ჭეშმარიტად, იმათთვის მეტის მეტად სამძიმოა მომეტებული კაპეიკის გადახდაც. *)

დეკანოზი მიხაილ მეუნარგია.

*) ვბეჭდავთ ჩვენ ამ წერილს თხოვნისა მებრ პატივცემული დეკანოზის მამა მიხაილ მეუნარგიისა. მართალია, სტამბებიც ბევრია, ქაღალდიც და წიგნების აკინძვაც გაიაფებულია, მაგრამ როდესაც ვაჭრობით იცემოდა ამ ზემოხსენებული წიგნების დაბეჭდვა, ნაკლები ფასით ამღები არავინ აღმოჩნდა. ჩვენც სრული თანახმა ვართ, რომ ამ საგანს ყურადღება უნდა მიექცეს და როგორმე გზით საეკკლესიო წიგნები გაიაფდეს. მაგრამ ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც წიგნები დაიბეჭდებიან ერთად არა ნაკლებ ოთხი და ხუთი ათასისა და არა ისე მცირე, როგორც ეხლა იბეჭდება. მაგრამ ამდენი წიგნის დაბეჭდვას ფულები უნდა და ეს ფულები კი არ სად არის.

რედაქტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნეკროლოგი.

8 მარტს ტფილისის სამოქალაქო საავად-მყოფოში გარდაიცვალა ახალ სოფლის ეკკლესიის მღვდელი სიმონ ნათაძე. განსვენებულს ტფილისის სასულიერო სემინარიაში ჰქონდა კურსი შესრულებული. კურსის შესრულების შემდეგ ის დაინიშნა მასწავლებლად მინგრელიის სასულიერო სასწავლებელში; ორი წლის აქ სამსახურის შემდეგ ნათაძე ეკურთხა მღვდლად სოფლის ტეზის ეკკლესიაზედ. აქ სამრევლოდამ სამი წლის შემდეგ გადაყვანილ იქნა სოფლის პატარა ლილოს სამრევლოში, სადაც დარჩა მღვდლად სამი წელი. ამ სამი თვის წინად განსვენებული ამ სამრევლოდგანაც გადაყვანილ იქმნა ახალ სოფლის სამრევლოში. ამ ახალ სამრევლოშიდაც მალე დაიმსახურა განსვენებულმა ყველას სიყვარული და საზოგადო პატივის ცემა. როცა განსვენებული ერთი სამრევლოდამ მეორე სამრევლოში გადაჰყავდათ ხოლმე, მრევლი თვალ-ცრემლიანი აცილებდა განსვენებულს. როდესაც გლეხები გაიგებდენ ხოლმე მ. სიმონ ნათაძის გადაყვანას მათი სოფლიდგან, მიდიოდნენ მასთან და ეუბნებოდენ: „მამაო, შეიძლება ჩვენ ვიყოთ დამნაშავე, რომ სხვა სამრევლოში გადაჰყავხართ". მაგრამ განსვენებული ანუგეშებდა მათ და ეუბნებოდა: „მე ჩემის ნებით გადავყავართ სხვა სამრევლოშიო". განსვენებული ყოველი წირვის შემდეგ ესაუბრებოდა მლოცველებს და ამით იზიდავდა ეკკლესიაში მრავალს ხალხს. უკანასკნელს სამრევლოში განსვენებულმა მოკლე სამსახურის დროს დაარსა საეკკლესიო-სამრევლო სკოლა, რომელშიდაც მოასწრო 21 გაკვეთილის მიცემა. როცა განსვენებული ავად გახდა, დაიბარა: „სთხოვეთ ჩემს მთავარს, რომ ასწავლოს სკოლაში ჩემს მორჩენამდის. საწყალი განსვენებული ყოველს მოქმედებაში ხელ-მძღვანელობდა პატიოსნებით და სიმართლით. როცა განსვენებულს მიასვენებდენ ეკკლესიაზე, მისი სამრევლოს გლეხები თვალ-ცრემლიანი მიჰყვებოდენ მიცვალებულს და ამბობდენ; „ჩვენი სოფელი სავსე იყო ავაზაკებით, მ. ნათაძის მოსვლის შემდეგ მათი რიცხვი შემცირდა, მაგრამ ეხლა რაღა გვეშველება!"

განსვენებული მღვდელი სიმონ ნათაძე ნამდვილი აღმასრულებელი იყო თავის თანამდებობისა, მას უყვარდა თავის მოყვასი, რომელსაც ეწეოდა შეძლებისა მებრ. ვინც კი მიდიოდა მასთან რჩევისა ანუ რაიმე საჭიროებისათვის, არავის უარს არ ეუბნებოდა განსვენებული. განსვენებულის სასიკვდილე ავად-მყოფობის მიზეზი, სხვათა შორის, ისიც იყო, რომ ყველა სამრევლოებში ნოტიო სახლებში იდგა. თუმცა სახლობა და მონათესავენიც ურჩევდნენ მას ბინის გამოცვლას, მაგრამ განსვენებული ამაზე შემდეგ პასუხს აძლევდა ყველას: „მე არა მაქვს საშუალება, რომ ჩემთვის საკუთარი სახლი ავიშენო და მრევლი არ მინდა შევაწუხო ჩემი სახლის აშენებისათვის." განსვენებულის მოულოდნელმა ავათ-გახდომამ და მისმა სიკვდილმა შეაწუხა არა მხოლოდ მისი ნათესავენი და მრევლი, არამედ ისეთი პირნიც, რომელთაც ერთხელ მეტად არ ჰქონიათ შემთხვევა ელაპარაკათ განსვენებულთან. განსვენებულს დარჩა ცოლი, რომლისათვის არა ვითარიმე ქონება არ დაუტოვებია.

---

### ქრისტე აღსდგა!

მაცხოვარმან, ძმანო ჩემნო,
ჩვენთვის ღვარა თვისი სისხლი
და ამით ბჭე სამოთხისა
ჩვენთვის შეიქმნა გახსნილი.

—

სიმართლის ქადაგებისთვის
ურჯულოთაგან ბრალდებული,
ქრისტე ღმერთი ჭეშმარიტი
გოლგოთაზე წამებული.

—

უხრწნელი მისი სხეული
მიწას იქმნა დამარხული,—
რათა ჯოჯოხეთს შევიდეს,
იხსნას მუნით მართალთ სული.

—

მესამესა დღესა აღსდგა
დამთრგუნველი სიკვდილისა,—
მით მოგვცა მაგალითი
ჩვენის მკვდრეთით აღდგომისა.

—

თი. ეს ხუთი მანეთი წინად მიღებულ ორ მანეთთან ერთად ჩვენგან კიდეც გაიგზავნა კუთვნილებისამებრ.

***

ბლაღოჩინის მღვდლის მამა ილარიონ გერსამია-საგან ჩვენ მივიღეთ ორი მანეთი და ორი აბაზი ღვთის-მშობლის სახელობაზედ დაარსებული ძმობისაგან გამოცემული წიგნაკების ფასი, რომელიც უკვე გაიგზავნა ჩვენგან დანიშნულებისამებრ.

***

ჩვენ გვწერენ ორპირიდგან, რომ იქ მიბრძანებულა წარსულ მარტს ყოვლად სამღვდელო გურია-სამეგრელოის ეპისკოპოსი გრიგოლი და სოფლის საქილაოს ეკლესიაში უწირავს. წირვის შემდეგ სიტყვა უთქვამს, რომელსაც დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მსმენელებზე; ყოვლად სამღვდელოს დაუთვალიერებია ამ სოფელში სახალხო სკოლა და გამოუცდია შაგირდები საღმრთო სჯულის სწავლაში და კმაყოფილი დარჩენილა. ყმაწვილების ცოდნით.

***

ბ. ფ. ქორიძემ, როგორც ამას წინეთ ვაცნობეთ ჩვენს მკითხველებს, შეასრულა ქართული საეკლესიო საგალობლების ნოტებზე გადაღება და ჩააბარა კომიტეტს, რომლის თავმჯდომარემ, შემოწმების შემდეგ, წარუდგინა მისს ყოვლად უსამღვდელოესობას იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელს. ყოვლად სამღვდელომ კომიტეტის წევრებს ბლაღოჩინთ: სიმონ ელიავას, მიხაილ მჭედლიძეს, ერმოლოზ ვეფხვაძეს, თეოდორე ხოშტარიას და მღვდელთა: ანტონ ბალანჩივაძეს, იაკობ მაჭავარიანს, ნიკოლოზ ხუციევს და სამსონ შენგელიას ლოცვა კურთხევა გამოუგზავნა მათი შრომისთვის და კომიტეტი გააუქმა. დღეს კითხვა არის აღძრული ყოვლად სამღვდელოსაგან, რომ ეს ნოტებზე გადაღებული საგალობლები დაიბეჭდოს და იმედია, რომ ამ კეთილ საქმეში თანაგრძნობას გამოგვიცხადებს ყოვლად სამღვდელო გრიგოლი, გურია-სამეგრელოის ეპისკოპოსი.

---

# ცხოვრების აღწერა

## წმიდა მოციქულთ-სწორისა ნინოსი,

### საქართველოს განმანათლებელისა.

(დასასრული *).

რუსეთის მართლ-მადიდებელ ეკკლესიასაც აღია-რებული ჰყავს წმიდა ნინო მოციქულთ სწორად. ამას ამტკიცებს ის, რომ ექსარხოსებისაგან, რომელნიც ინიშნებიან უწმიდესი სინოდისაგან საქართველოს ეკკლესიის მმართველებად, ბევრი ეკკლესიებია საქარ-თველოში ნაკურთხი წმიდა ნინას სახელობაზე, გან-საკუთრებით საქალებო სასწავლებლების შენობებში. საქართველოში ექსარხოსად ყოფილმა, დღეს რუსეთის პირველმა მიტროპოლიტმა ისიდორემ სა-ქართველოში მყოფობის დროს გადმოთარგმნა წმ. ნინოს დღესასწაულის ღვთისმსახურების წესი ქართუ-ლიდგან სლავიანურ ენაზე და 1860 წელში უწმი-დესი სინოდის კურთხევით გამოსცა ეკკლესიებში სახმარებლად.

ამ გვარად მართლ-მადიდებელი ეკკლესია ივე-რიისა, რომელიც არის უმცროსი და რუსეთის ეკკლე-სიისა, ღირსეულად სცემს პატივსა თავის დამაარსებელს წმიდა ნინას, როგორც მოციქულთ სწორს და საქართველოს განმანათლებელს წმიდა ნათ-ლის-ღებით. თუმც ის, ვინც ერთ ცოდვილს მოაქცევს და დააყენებს ჭეშმარიტ გზაზე, ღირსია ღვთის სასუფეველისა, მით უმეტეს ღირსია ამ პატივისცემისა ის, რომელმაც მოაქცია მთელი ერი ქრისტეს სარ-წმუნოებაზე და ასწავლა მას სამაცხოვრო ჭეშმარიტისა ღვთისა.

---

საქართველოს მატიანებში ძალიან ცოტა ცნო-ბებია უფლის კვართზე, რომლის სანახავად და თაყ-ვანის საცემად მოვიდა იერუსალიმიდამ საქართველო-

*) იხ. „მწყემსი" № 10, 1887 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრისტე აღსდგა, გიხაროდესთ,
მის ერთგულნო მოწაფენო!
დიდება შენდა, იესო,
ქვეყნად ნათლისა მომფენო!

—

ქრისტე აღსდგა! გიხაროდესთ,
თქვენცა კაცნო უსჯულონო
და ყოველნო მაცხოვრისა
აქამომდე არ მრწმენენო.

—

რათა თქვენცა იქნებ ბოლოს,
თავს მიიღოთ მისი მცნება
და გულს მტკიცედ დაიმარხოთ:
ძმობა, მტერზედ მოთმინება...

—

ქრისტე აღსდგა! გავიხაროთ,
ჩვენ ყველამა ერთიანად
და ღვთაებრივს იმის სწავლას
დავეწაფოთ გულიანად!...

ტ. ღ—მე.

## ახალი ამბები და შენიშვნები.

ჩვენ შევიტყეთ, რომ სოფლის მლეთის მღვდელს ა. ზულისაშვილს მოსვლია ამ დღეებში უწ. სინოდიდგან გამოგზავნილი ორმოცი თუმანი (400 მ.) სამრევლო-საეკლესიო სკოლის შენობის აღსაშენებლად, რომელიც უწ. სინოდის ობერ-პროკურორმა აღუთქვა მას, თავის მოგზაურობის დროს (1886 წ.) საქართველოში.

****

როგორც ვკითხულობთ «Русск. кур.»-ში კავკასიის დეპუტაციის თხოვნისამებრ უწმიდესს სინოდს უთხოვნია გარეშე საქმეთა სამინისტროსათვის, რომ ამ უკანასკნელმა იშუამდგომლოს და ათონის ივერიის მონასტერი, რომელიც ბერძენთ ბერებმა დაისაკუთრეს, დაუბრუნდეს ქართველებს. უცხო საქმეთა სამინისტროს აზიის დეპარტამენტს უკვე დაუწყია მოლაპარაკება რუსეთის სტამბოლელ ელჩთან იმის თაობაზედ, რომ ეს მონასტერი დაუბრუნდეს კუთვნილებისამებრ საქართველოსა.

****

ბევრი კარგი და ძლიერ სასიამოვნო ხმები ისმის საჩხერის ახალ მოსამართლეზე, რომელსაც მთელი საზოგადოება ემადლიერება მისი პატიოსნური, კეთილ სინდისიერი და ზრდილობიანი ქცევისათვის და მართლ-მსაჯულებისათვის. ამბობენ, რომ სწორეთ ეს მოსამართლე უმტკიცებს ხალხს, რომ იმპერატორი ალექსანდრე მეორის კანონები არის მსწრაფლი და მიუდგომელიო. ღმერთმან მისცეს მას კეთილი და ვისურვებთ, რომ დიდხანამდის დარჩენილიყოს ის ჩვენში.

სამწუხაროდ ამისთანა კარგი ხმები არ ისმის შორაპნის მომრიგებელი მოსამართლის ახალ მოსულ მეორე თანაშემწეზე, რომელსაც ძლიერ ემდურის ხალხი. ამბობენ, რომ ეს მოსამართლე თორმეტ საათამდის და ხან პირველ საათამდისაც არ შედის სასამართლოშიო, და თითო საქმის გარჩევას ორი და სამი საათი უნდებაო. ძლიერ გვიკვირს, რომ დიდი ხანი არ არის, რაც გამოიცაპ რძანება, რომლის ძალითაც ყველა მოსამართლენი ვალდებულნი არიან, რომ დილის ათ საათამდი შევიდნენ სასამართლოებში და ხალხი არ მოაცდინონ თავის საქმეს და როგორ ვერ შეიტყეს ეს.

****

ამ ცოტა ხანში, როგორც გვატყობინებს „კავკაზი“, სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში წარდგინდება პროექტი შესახებ მიწების დარიგებისა ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში მცხოვრებ ხიზნებზე.

****

ამ დღეებში ტფილისში, სალდათის ბაზარში გაიყიდა ქართული ხელთ-ნაწერი სახარება პერგამენტზე. სახარება, როგორც გვატყობინებენ, დაწერილია XI საუკუნეში. ბევრი ამისთანა ძვირფასი ნივთები ისტორიისათვის იყიდება ხოლმე თურმე ამ ბაზარში და ხშირად ისეთი პირნი ჰყიდულობენ, რომელთაც ამ ხელთ-ნაწერების ფასი და მნიშვნელობა არ იციან და უბრალო გამოსახვევ ქაღალდად ხმარობენ მათ.

****

სვანეთის მთებში თოვლის შვავით დამხვრჩვალ მთავარ-დიაკვნის ცხვედიანის საბრალო ოჯახის სასარგებლოდ ჩვენ მივიღეთ ერთი რუსისაგან ხუთი მანე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში წმ. ნინა. ამ მატიანებიდგან ვტყობილობთ, რომ წმ. ნინამ ნახა მხოლოდ ის ადგილი, სადაც დაფლულ იყო კვართი უფლისა—ე. ი. სასაფლაო, რომელშიდაც დაფლულ იყო წმ. კვართი უფლისა. ნაძვი, რომელიც ამოვიდა ამ სასაფლაოზე, თუმცა შემდეგ მოჭრილ იქმნა წმ. ნინას ბრძანებისა მებრ, მაგრამ მისი ძირი, რომლის ქვეშ იყო სიდონიას სასაფლაო და მასში კვართი უფლისა, დაანარჩუნეს თავის ადგილს იმ კაცის ბრძანებით, რომელიც უცხოს მოკაზმულობით და ცეცხლის მახვილით გამოეცხადა ნინას, როცა ის ღამით ლოცულობდა ამ ხის ძირთან და აუწყა მას რაღაც სამი საიდუმლო სიტყვა. წმ. ნინომ ნამდვილად გაიგო, რომ ამ ადგილზე იყო დაფლული კვართი უფლისა. ეს მტკიცდება იქიდგან, რომ ამის შემდეგ ნინას არას დროს არ უფიქრია ამ ხის ძირის მოთხრა და სიდონიას სასაფლაოს ნახვა და არც სხვა ადგილს უძებნია კვართი უფლისა. მირიან მეფე ძალიან სწუხდა, რომ მისმა გაგზავნილმა კაცებმა, რომელთაც მიიღეს მეფე კონსტანტინესაგან ნაწილი ქრისტეს ჯვარისა და ლურსმანი, არ მოიტანეს ისინი მცხეთაში, არამედ ერთი დასტოვეს მანგლისში და მეორე ერუშეტში. ამაზე წმიდა ნინამ ანუგეშა მეფე და ასე უთხრა: „ეს ასე უნდა მომხდარიყო, რათა შენი სამეფოის სამზღვრები დაეფარა იესო ქრისტეს ჯვარის ძალს და ქრისტეს სარწმუნოება გავრცელებულიყო შენს სამეფოში. შენთვის და შენი სამეფოისათვის საკმაოა ისიც, რომ აქ, მცხეთაში, არის ყოვლად წმიდა კვართი უფლისა". რომ ამ ნაძვის ძირ ქვეშ იმყოფებოდა კვართი უფლისა როგორც წმ. ნინას დროს, ისე შემდეგშიაც, მტკიცდება იმითი, რომ ამ ხის ტანისა და ძირისაგან გადმოდიოდა კეთილსუნნელოვანი მირონი. მირონის გადმომდინარეობა მოისპო მხოლოდ მეცამეტე საუკუნეში, როდესაც კვართი უფლისა ამოღებულ იქმნა მიწიდგან: ქრისტეს კვართი რომ ამ ადგილს იყო, მტკიცდება ამითაც, რომ ურწმუნონი, რომელნიც გაბედავდენ ამ ადგილის შეხებას, ისჯებოდნენ. ქათალიკოსმა ნიკოლოზ პირველმა, რომელიც მმართავდა საქართველოს ეკკლესიას მეთორმეტე საუკუნის საშუალ დროებში და რომელიც შესანიშნავი იყო თავის წმიდა ცხოვრებით, შენიშნა, რომ მრავალი მისი თანა-მედროვეენი არ ერწმუნებოდენ, რომ უფლის კვართი იყო დამარხული ძელი ჭეშმარიტის სვეტის ქვეშ. ეს ეჭვი ერთის მხრით საფუძვლიანიც იყო, ამბობს ნიკოლოზი, რადგან კვართი ამ ადგილს არავის არ აღმოუჩენია და არც არავის უნახავს, მაგრამ ის მოსწავებანი და სასწაულნი, რომელნიც ხდებოდნენ და ხდებიან დღესაც ამ ადგილს ყველას თვალ წინ, წარმოსდგებიან ქრისტეს კვართისაგან. ქათალიკოზი ნიკოლოზი უჩვენებს იმ სასწაულებზე, რომელნიც ხდებოდნენ ქრისტეს კვართისაგან და სხვათა შორის მოგვითხრობს ქრისტეს კვართისაგან მოხდენილ შემდეგ სასწაულზე: „სათათრეთის ერთმა სულთანმა, ამბობს ნიკოლოზი, დაიკავა ქალაქი მცხეთა. ამ სულთანის მეუღლემ მოიწადინა სიდონიას სასაფლაოს მოთხრა და კვართის ნახვა, მაგრამ ის დამწვარ იქმნა შინაგანი ცეცხლისაგან, ხოლო ამ ქალისგან გაგზავნილნი თათრები სასაფლაოს მოსათხრელად დამარცხებულ იქმნენ უხილავი ძალისაგან. ეს სასწაული მრავალთა იხილეს და ყველამ იცის." რომ ზემოთ ნაჩვენებ ადგილსა ნამდვილად იყო კვართი უფლისა, ამის დასამტკიცებლად ნიკოლოზ პირველი უჩვენებს მირონის გადმომდინარეობას ამ ადგილიდგან. ქათალიკოზი ამბობს, რომ ამ ადგილს, აღმოსავლეთის მხრით ყველანი ამჩნევდნენ სინოტიეს, მაგრამ ზოგიერთმა გაუნათლებლობისა გამო კირი წაასხეს ამ ადგილს, მაგრამ მირონის გადმომდინარეობა მაინც ვერ შეაჩერეს. ამასთანავე ქათალიკოზი მოგვითხრობს, რომ ამ მირონისაგან ბევრი სნეულნი იკურნებოდნენო. ქათალიკოზმა ნიკოლოზმა შეადგინა უფლის კვართის და სვეტი-ცხოვლის სადიდებლად ღვთის მსახურების წესი, რომელიც შემდეგ შეასწორეს და შეავსეს ქათალიკოსებმა ბესარიონმა და ანტონიმ. ნიკოლოზ პირველმავე დააწესა დღესასწაული კვართისა პირველს ოქტომბერს.

როგორც ზემოთაც მოვიხსენიეთ, მირონის გადმომდინარეობა შესწყდა, როცა კვართი, ღვთის ნებით, ამოღებულ იქმნა მიწიდგან. ეს მოხდა, როგორც მოგვითხრობს ერთი უსახელო ისტორიკოსი, იმდროს, როცა საქართველო გაჭირებულ მდრომარეობაში იყო თემურ-ლენგის თავ-დაცემისა გამო. თემურ-ლენგი თავის ჯარით დაეცა საქართველოს მეთოთხმეტე საუკუნეში, აიღო თბილისი, ამოწყვიტა ასი ათასამდე მცხოვრებნი, დაანგრია ყველა ტაძრები და მათ შორის სიონის სობოროც, მოიტაცა სამღთო ნივთები, თვით ქრისტიანებს ძალას ატანდა, რომ ფეხით დაესრისათ სიონის ღვთის მშობლის ხატი და შემდეგ გაემგზავრა მცხეთისკენ, რომლის მცხოვრებნი თავიანთი მღვდელ-მთავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებით გაიქცნენ ტყეებში და მთების მიუვალ ხეობებში. თემურ-ლენგის მცხეთაზე თავ დაცემამდის ერთმა ვიღაც ქართველმა ამოიღო კვართი სიდონიას საფლავიდგან იმ აზრით, რომ ის უკეთ შენახულიყო და, თუ მტერი თავს დაეცემოდა ეკკლესიებს, კვართი მაინც არ ჩავარდნოდა მას ხელში. ეს პატიოსანი კვართი უფლისა ამ ქართველმა მიუტანა მღვდელ-მთავარს და მიაბარა მას. ამასობაში თემურ-ლენგი დაეცა მცხეთას, მცხეთის მშვენიერი ტაძარი, აშენებული ვახტანგ გორგასლანისაგან მთლად დაანგრია. ამ დროიდგან კვართი უფლისა ინახებოდა ქათალიკოსთა სალაროში, მინამ მცეთის ტაძარი ხელ-ახლად არ იქმნა აღშენებულ მეფე ალექსანდრე პირველისაგან, რომელიც მეფობდა საქართველოში 1514—1542 წლამდე. მაშინ კვართი გადატანილ იქმნა ამ ტაძარში და ჩადეს ეკკლესიის ჯვარში, რომ უფრო კარგად ყოფილიყო შენახული. ამ გვარად კვართი ინახებოდა XVII საუკუნემდის. 1725 წელში შაჰ-აბბასმა დაიკავა საქართველო. ამ შაჰ-ამბას ძალიან სურდა მეგობრული კავშირი ჰქონოდა რუსეთის სამეფო სახლთან, რომელიც მფარველობას უჩენდა საქართველოს. ამიტომ მან მოიტაცა მცხეთის ტაძრიდამ კვართი უფლისა, ჩადვა ის ოქროს კიდობანში, რომელიც მორთული იყო ძვირფასი ქვებით, და გაუგზავნა თავის მხრით, როგორც უძვირფასესი საჩუქარი რუსეთის უწმიდეს პატრიარქს ფილარეტს, როგორც მშობელს ხელმწიფე მიხაილ თეოდორეს ძისას. კეთილ-მსახურმა მეფე მიხაილმა და უწმიდესმა პატრიარქმა ფილარეტმა დიდის სიხარულით მიიღეს ეს საჩუქარი, რომელიც უძვირფასესი იყო ქვეყნიურ ყველა საჩუქრებზე. მათ შეჰკრიბეს ცნობები უფლის კვართზე ბერძნების მღვდელ-მთავრებისაგან და მოხუცებულ პირთაგან და გაიგეს ის, რაც ჩვენ მოვიყვანეთ აქ. მეფე და პატრიარხი დარწმუნდნენ ნამდვილად, რომ ის იყო კვართი უფლისა, მაშინ, როცა ეს კვართი დაადვეს თავზე ავად-მყოფებს, რომელნიც მყისვე განიკურნენ სენისაგან. მაშინ მათ ბრძანეს, რომ მოსკოვის მიძინების სობოროში, დასავლეთის მხრით, მარჯვენა კუთხეში გაეკეთებიათ შესაფერი ადგილი და იქ დაასვენეს კვართი უფლისა. მას აქეთ კვართი უფლისა მოსკოვში ინახება. პატრიარქმა ფილარეტმა დააწესა კვართის სადიდებლად დღესასწაული 9-ს ივლისს.

იმ ჯვარის შესახებ, რომელიც იყო გაკეთებული ვენახის ვაზებისაგან და რომელიც ჩააბარა წმ. ნინოს ღვთის-მშობელმა, შემდეგი ცნობებია შეკრებილი: 458 წლამდე ქრისტეს შემდეგ ეს ჯვარი ინახებოდა მცხეთის საკრებულო ტაძარში. ცეცხლის თაყვანის მცემლებისაგან ქრისტიანების დევნის დროს წმ. ჯვარი წაღებულ იქმნა მცხეთის ტაძრიდგან ერთი ბერის ანდრიასაგან, რომელმაც მიიტანა ეს ჯვარი სომხეთში, რომლის მცხოვრებნი მაშინ მართლ-მადიდებელნი იყვნენ. აქ ჯვარი ინახებოდა პირველად წმ. მოციქულთა ეკკლესიაში, რომელსაც სომხები უწოდებდენ მაზარ ვანქს, ე. ი. ლაზარეს ტაძარს. ეს ჯვარი გადაჰქონდათ ერთი ადგილიდგან მეორეზე და ინახავდენ სომხების ციხეებში: ქაპოსტში, ვანაქში, ქარსში და ქალაქ ანში; ეს გაგრძელდა 1239 წლამდე. ამ დროს საქართველოს დედოფალმა რუსუდანმა ჲ საქართველოს ეპისკოპოზებმა სთხოვეს მონგოლების სარდალს ჩარმაგანს, რომელმანაც ამ დროს დაიკავა ქალაქი ანი, რომ მას დაებრუნებია საქართველოსთვის ეს ჯვარი, რომელიც ძველიდგანვე საქართველოს საკუთრებას შეადგენდა. ჯვარი ისევ მოტანილ იქმნა საქართველოში და დასვენებულ მცხეთის საკრებულო ტაძარში. მაგრამ აქაც ის დიდხანს არ დარჩენილა. მტრების თავ-დაცემისა გამო ეს ჯვარი ხან მთებში ინახებოდა, ხან სამების ტაძარში, რომელიც დღესაც დგას ერთ პატარა მთაზე, სახელად ქაზბეკზე და ხან ციხე ანანურში ღვთის მშობლის ძველ ტაძარში. საქართველოს მიტრაპოლიტმა რომანოზმა, როცა ის გაემგზავრა საქართველოდამ რუსეთში, ფარულად წაიღო წმ. ნინას ჯვარი და ჩააბარა ის მეფის წულს ბაქარს ვახტანგის ძეს, რომელიც მაშინ იმყოფებოდა მოსკოვში. ეს ჯვარი ორმოცდა ათ წლამდე დარჩა სოფელ ლისკოვში ნიჟეგოროდის გუბერნიაში, ქართველ-თავადების მამულში, რომელნიც, თავადები, იყვნენ შთამომავალნი მეფე ვახტანგისა, რომელიც 1724 წელში გადასახლდა რუსეთში. თავადმა გიორგი ალექსანდრეს ძემ, რომელიც იყო შვილი-შვილი ბაქარისა, 1801 წელში წმ. ნინას ჯვარი მიართვა იმპერატორს ალექსანდრე პავლეს ძეს, რომელმაც მაშინვე კეთილინება ამ სამკაულის დაბრუნება საქართველოში. ამის შემდეგ ეს ჯვარი, როგორც ნაშთი წმ. ნინას მოციქულებრივი მოღვაწეობისა, ინახება დღესაც სიონის საკრებულო ტაძარში, საკურთხევლის ჩრდილოეთის კარების მახლობლად და ჩადებულია ყუთში, რომელიც მოჭედილია ვეცხლით. ამ ყუთის ზემო ფიცარზე არის ამოჭრილი წმ. ნინას სახე და ის სასწაულები, რომელნიც ჰქმნა ნინამ ამ ცხოველ-მყოფელი ჯვარის ძალით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოძღვრება

## სახარების ცხრა ნეტარებაზედ,

თქმული 1 მარტს ქაშვეთის ეკკლესიაში 1887.

## VI

„ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, „რამეთუ მათ ღმერთი იხილონ“ (მათ. 5, 8).

ყოვლად სახიერმან მეუფემან, ქრისტეს მორწმუნენო ერნო, გააჩინა კაცი „ხატად და მსგავსად თვისსა.“ კაცი იყო თვით შუქი ღვთაებრივი ნათლისა და ამიტომ შეეძლო დამტკბარ იყო ღვთის ხილვით. როგორც მზის სხივის შემწეობით სუფთა და მრთელი თვალი ხედავს ნათელს ბუნებისას, ისე კაცის წმიდა და უმანკო სული შემძლე იყო ეხილნა უწმიდესი ხატი იგი თვისი. წერილი მოგვითხრობს, ძმანო, რომ პირველი კაცი მართლა აი ამისთანა ბედნიერებაში იყო,— რომ მას ჰქონდა სულიერი კავშირი და ზიარ-ყოფა თავის შემოქმედთან, რომელიც მას გამოუცხადებდა ხოლმე მრავალ ჯერ, და პირველი კაცი წმიდად და უბიწოდ დაბადებული, განსცხრებოდა ამ ხილვით. მაგრამ კაცი სამწუხაროდ, ბოლომდინ ვერ დადგა ამისთანა სიწმიდის სიმაღლეზედ: ბოროტმა ეშმაკმა, რომელიც ეძიებდა ყოველ-ნაირ შემთხვევას, რომ კაცი ამ სიმაღლიდგან ჩამოეგდო, დასასრულ შეიძლო ანგელოზის მსგავსი უმანკო სული კაცისა შეეყვანა განსაცდელში; მან დასთესა მის უბიწო და ღვთის მსგავს წმიდა გულში ღვარძლის თესლი და ამ ღვარძლის თესლმა ისე მოსწამლა, ისე მოშხამა, ისე დაამახინჯა და დააბნელა კაცის გული და გონება, რომ მას ვეღარ შეეძლო ცხადათ და ნათლად წარმოედგინა თვისი უწმიდესი და უსრულესი შემოქმედი. კაცმა დაკარგა შეძლება თავის შემოქმედის ხილვისა მას შემდეგ, რაც მას გული არა წმიდათ გადაექცა და ამიტომ გონება სიბნელეში შეუვიდა. და ეს იყო, ძმანო, მიზეზი, რომ მას გზა მთლად აერია, გახდა სულიერ ბეცად, რომელსაც თავის ცხვირს იქით აღარ შეუძლიან საგანი გაარჩიოს, და ამ თავის სიბეცის გამო კაცმა ზეცის მაგიერ მიმართა ამ ქვეყნის ამაოებას და ამიტომ იგი მთლად წავიდა და დაადგა იმ უკულმართ გზას, რომელიც მას თან-და-თან ავიწყებდა თავის შემოქმედს და უბნელებდა მაზედ ნათელის წარმოდგენას. მან დაუტევა და დაივიწყა „ზეციური ღმერთი,“ გულიდგან და გონებიდგან გამოეცალა თავის პირველ დროითი საუნჯე, შეეცვალა უპირველესნი მიდრეკილებანი; კაცმა შექმნა თავისთვის სულ სხვა ღმერთი ქვეყნიური ამაოებიდგან, რომელშიაც იგი ცდილობდა ეცნა თავის საუნჯე, და „სადაც ხედავდა იგი ამ საუნჯეს იქით მიმართა კიდეც თავის გული“ (მათ. 6. 20). მაგრამ ამასთან ისიც კი უნდა ვსთქვათ, ძმანო, რომ კაცმა ამ უკიდურეს მდგომარეობამდინ თავის თავი ძალათი კი არ მიიყვანა, რომ ამითი ეწყენინებინა თავის შემომქმედისათვის და თავის ნებით მოესპო მასთან ყოველი კავშირი. არა, ძმანო, ჩვენდა საბედნიეროთ. ამითი განირჩევა, ქრისტიანენო, კაცის უკულმართობა ეშმაკის უკულმართობიდგან, რომ კაცს არა აქვს და არცა ჰქონდა ისრეთი ნემსითი, შეგნებითი წინააღმდეგობა ღმერთთან, როგორც ეშმაკს: კაცი პირველადვე შეცდა თავის წინდაუხედაობით და ეშმაკის მცბიერი რჩევით და შემდეგშიაც, მომეტებულ ნაწილად, ასრეთივე წინა დაუხედაობით და ბრმათ მიჰყვა მის გავლენას, და დასასრულ იქნამდინ მიიყვანა თავის თავი, რომ მას თითქმის მთლად შეეცვალნენ უწინდელნი წარმოდგენანი და მიდრეკილებანი. კაცი იყო, ძმანო, მომეტებულად მსხვერპლი თავის წინდაუხედაობისა და არა ეშმაკისათანა შეგნებით ღვთის უარყოფისა,— და აი ამიტომაც შეებრალა ღმერთს კაცი და მისი სიბრმავე და არ მიაგო მას სასტიკი მისაგებელი საქმეთაებრ მისთა: იგი კვალად შეიბრალა და სისხლთა მისთა თვისათა შეისყიდა შეცთომა მისი.

ამ ნაირი ხასიათი ჩვენის შეცდომისა და უწინდებული სიწმიდის მოსპობისა თავის თავად გვიჩვენებს, ძმანო, შესაფერ საშუალებასაც, რომ ერთის მხრით— აღარ შევიდეთ კვლავაც განსაცდელში და—მეორეს მხრით—გამოვერიდეთ ბოროტისაგან და მოვიპოვოთ პირველ დროითი ჩვენი სიწმიდე, რომელიც ხელ-ახლად შეგვიყვანს სულიერ კავშირში ჩვენ შემოქმედთან და, მსგავსად პირველი კაცისა, გვაღირსებს მის ხილვას, „ილვიძებდით და ილოცევდით, რათა არა შეხვიდეთ განსაცდელსა“ (მათ. 26. 4,). აი მისთვის რა საშუალებას გვიჩვენებს ღვთაებრივი ჩვენი მოძღვარი,,— „იღვიძებდით და ილოცევდით.“

მღვიძარება არის, კეთილ მორწმუნენო ქრისტიანენო, უპირველესი ჩვენის მხრით საშუალება, რომლითაც ავსცდებით ეშმაკის საფრთხესა. წინა დაუხედაობამ, მოუფიქრებელობამ და თავის მინებებამ მოგვაშორა პირველი დროის ჩვენ უმანკოებას და გულის სიწმიდეს; მაცდურმა და ყოვლად ბოროტმა ეშმაკმა ამითი ისარგებლა და შეიყვან პირველი იგი კაცი ბორო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტებაში. მით უფრო ჩვენ გველის განსაცდელი, რადგან უმისოთაც ღრმათ გამჯდარი გვაქვს გულში ცოდვის გესლი. ჩვენ ეხლა იმდენი განსაცდელი გველის ამ ყოვლად მაცთური ეშმაკისაგან, იმდენი შემთხვევა გვაქვს ცოდვისადმი, რომ არ შეგვიძლიან მათ გადურჩეთ და გული წმიდად შევინახოთ, თუ რომ სასტიკად და თითქმის ყოველს წამს არ ვმღვიძარებთ. აი ამაზედ გვირჩევს წმიდა მოციქული პავლე ,,რათა განვძლიერდეთ უფლისა მიერ სიმტკიცითა ძლიერებისა მისისათა; შევიმოსოთ ყოვლად საჭურველი იგი ღვთისა, რათა შეუძლოთ წინადადგომად მანქანებათა მათ ეშმაკისათა დღესა მას ბოროტსა; ავიღოთ ფარი იგი სარწმუნოებისა, რომლითა შეუძლოთ ყოველთა მათ ისართა ბოროტისათა განხურვებულთა დაშრეტად, და ვიღვიძებდეთ ყოვლითა კრძალულებითა'' (ეფესე. 6. 11. 13. 16 და 18). თუ ჩვენ თავს მივანებებთ და სიფრთხილეს არ გავსწევთ, ძმანო, ცოდვა ისე ჩუმათ შემოგვეპარება, რომ პირველად ვერც კი გავიგებთ, თუ ჩვენს თავს მოხდა რამე, მინამ ეს ცოდვა არ მიგვიყვანს იქამდინ, როცა ბოლოს ცხადივ დავინახავთ, რომ მან დასძლია ჩვენი უძლური ბუნება. ამისთვის, ძმანო, თვალ ყურს უნდა ვადევნებდეთ ყველა ჩვენ აზრს, ნებას და გრძნობას, რომ მათში არ შეერიოს რაიმე გესლი ბოროტისა; განსაკუთრებით უნდა თვალ-ყურს ვადევნებდეთ ჩვენ გულის ძრახვათა, რადგან ,,გესლისაგან,—როგორც ბრძანებს მაცხოვარი,—გამოვლენ გულის სიტყვანი ბოროტნი, კაცის კვლანი, მრუშებანი, სიძვანი, პარვანი, ცილის წამებანი, გმობანი; ესენი არიან, რომელნი შეაგინებენ კაცსა'' (მათ. 15. 19, 20).

მაგრამ მარტო ჩვენი გულის მოძრაობა, ძმანო, არ არის ერთად ერთი წყარო ჩვენი განსაცდელისა; განსაცდელი მოელის კაცს ხშირად გარედგანაც. ამ შემთხვევაში არა მცირედი მღვიძარება გვმართებს ვიქონიოთ ჩვენ გარეგან გრძნობაზედაც, რომლის საშუალებით ჩვენ მივიღებთ ყველა გარეგანს საცთურს, რომელსაც ბოლოს შეუძლიან მიგვიყვანოს ცოდვისადმი. უნდა ყოველი ზომა და საშუალება ვიხმაროთ, რომ ჩვენი გულის ყური დავამყაროთ ზეციურ სამღთო საგნებს და განვიცადოთ და ვერიდოთ ყველა იმას, რაც რითიმე მოგვაგონებს რასმე განსაცდელს. ცოტა ოდენის შხამის მიღება საკმარისია, რომ კაცის სისხლი მთლად მოიწამლოს. აგრეთვე ცოტა ოდენი საცთურიც საკმარისია, რომ კაცის გული დაიმორჩილოს და უკუღმართ გზაზედ დააყენოს. აი ამაზედ გვამცნებს, ქრისტიანენო, ჩვენი მაცხოვარი, რომ უკეთუ თვალი შენი გაცთუნებდეს, მოიგლიჯე იგი და გარდააგდეო; ანუ თუ ხელი შენი სიმრუდესა სწევდეს, მოიჭერ იგი და მოიშორე თავიდგანაო, (მათ. 5, 29–30). აქ, რასაკვირველია, ძმანო, მართლა თვალის მოგლეჯაზედ და არც ხელის მოჭრაზედ არ ბრძანებს ჩვენი მოძღვარი; აქ ამითი გვაფრთხილებს, რომ თვალიც, ყურიც და ხელიც ვარიდოთ ყველაფერს, რასაც კი შეუძლიან გვაცდინოს,—რომ ვერიდოთ ყველა იმისთანა სახილველსა, სასმენელს და გასაკეთებელს, რომელთაც შეუძლიათ შეგვიყვანონ განსაცდელში. მაგრამ არიან ბევრნი იმისთანანი, რომელნიც დანდობილნი არიან, რომ მათი მტკიცე ხასიათი და შეურყეველი ნების ძალა დაიცავს მათ ყოველ ნაირ საფრთხისაგან, და ამიტომ არ ერიდებიან იმისთანა საგანს, რომელსაც შეუძლიან აღძრას კაცში ბოროტნი და არა წმიდანი გულის თქმანი. იგინი ივიწყებენ კაცის ბუნების სისუსტეს და საცთურის შემაცდენელ ძალას. რამდენი მაგალითი ყოფილა, ძმანო, თვით წმინდნების ცხოვრებაში, რომ იგინი ველარ გამხდარან ძალღონეს დაეძლივნათ საცდური, და ბოლოს დამორჩილებიან მის ძალას თავიანთ სამწუხაროდ. მოიგონეთ, ძმანო, თვით პირველი შეცთომის შემთხვევაც: ევა და მასთან ადამიც ეშმაკმა აცდინა მაშინ, როდესაც თვალით დაანახვა აღკრძალული იგი ნაყოფი; მათ ველარ დაიჭირეს თავი, წაიტყუილა თვალის წყალმა და შევიდნენ შეცოდებაში. რომ თვალით არ დაენახათ, იქნება კაცთა ნათესავი ასე უბედური არ გამხდარიყო.

გარდა ამისა, ძმანო, აიღეთ სხვა მაგალითებიც: მოიგონეთ ღვთის მოშიში და კეთილ მსახური დავით მეფე. ერთმა თვალის მოკვრამ თავის ქვეშევრდომის ცოლზედ, რომელსაც მან შეასწრო თვალი ბანაობის დროს, ისე იმოქმედა იმაზედ, რომ აღარ ძალედვა ებრძოლნა საცდურისათვის, რომელმაც იქამდისინ მიიყვანა ეს წმიდა კაცი, რომ თითონაც შეკდა და ის ერთგული თვისი ქვეშევრდომიც ნებით მისცა სიკვდილს, რომ იმის შემდეგ თავისთვის დაენარჩუნებინა მისი ცოლი. მერმე თუმცა გულის ხმას მოეგო და ბევრი ცრემლი ღვარა, მაგრამ გვიანღა იყო (მეორე. მეფეთ. თავი 11). მოიგონეთ ეგრეთვე, ძმანო, პეტრე მოციქულის საქციელიც: როდესაც იესო ქრისტემ თავის სიკვდილის წინა ღამეს გამოუცხადა თვისთა მოციქულთა, რომ იგინი მას მარტოდ დაუტევებენ და განიფანტებიან, პეტრე მოციქული მტკიცედ ეფიცებოდა, რომ თუ გინდ სხვებმა ყველამ უარჰყონ, იგი მაინც არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოშორდება და არ უარჰყოფს მას, თუ გინდ ამის გულისთვის თვით სიკვდილიც ეწიოდეს (მათ. 26, 35.). მაგრამ როდესაც საქმე საქმეზედ მივიდა და ერთმა მხევალმა ამცნა მას, რომ იგიცა გალილეველის მოწაფეა, მაშინ ამ მტკიცე პეტრემ შექმნა ისეთივე ფიცილი, რომ არცკი იცნობს, ვინ არის იესო გალილეველი. შემდეგ თუმცა მოიფიქრა თვისი სულ-მოკლე საქციელი და ბევრი მწარე ცრემლი დაღვარა (მათ. 26, 69, 70, და 75), მაგრამ ეს საქციელი საქციელად დარჩა სამუდამოთ.—

თუმცა დავით მეფემაც და პეტრე მოციქულმაც მხურვალის ვედრებით მოიპოვეს ბოლოს მრავალმოწყალისაგან შენდობა, მაგრამ მათ ცხადათ დაგვანახვეს, ძმანო, თავიანთი საქციელი, რომ არც ერთი მომაკვდავი, რაც უნდა მტკიცედ ადგეს კეთილ გზას, არ არის შემძლე წინ აღუდგეს საცთურის ძალას, და ამიტომ უნდა ყოვლის ღონისძიებით ვერიდოთ, ძმანო, და ავიცდინოთ თავიდგან ყველა ის, რაც კი მიგვიყვანს განსაცდელისადმი და აღძრამს ჩვენ გულში ბოროტთა ზრახვათა და არა წმიდათა სურვილთა“; ვილოცვიდეთ, რათა არა შევიდეთ, ძმანო, განსაცდელსა.

მაგრამ ამასთანავე ისიც უნდა გითხრათ, ძმანო, რომ მარტო ეს მღვიძარება და მორიდება ყველა ნაირ საცთურისაგან არ არის საკმარისი, რომ ჩვენი გული განვიწმიდოთ ბოროტის გესლისაგან. კაცი თავის თავად რაც უნდა ეცადოს, რომ ბოროტი არ ჩაიდოს გულში, მაინც მისი ბუნება ისეა მიდრეკილი ბოროტისადმი, რომ კაცს, მის უნებლიეთ სწევს წინააღმდეგ სჯულისა. აი ამაზედ ამბობს წმიდა მოციქული პავლე, რომ თუმც მე მსურს ვემსახურო სასჯულსა ღვთისასა, მაგრამ ასოთა შინა ჩემთ ვხედავ სხვასა სასჯულსაო, რომელიც ეწინააღმდეგება სასჯულსა მას გონებისა ჩემისასაო, და იმას კი არ ჩავდივარ, რაც თითონ მე მსურსო, არამედ იმ ბოროტს ვშვრები, რაც არ მინდაო (რომ. 7. 22, 23-19 და 20). კაცის ბუნება ისეა, ძმანო, დამორჩილებული ბოროტისადმი და ამ მორჩილებაში ისეა დაუძლურებული, რომ კაცს თავის თავად ვერ ძალუძს განთავისუფლდეს ცოდვისაგან და დაიცვას გული თვისი წმიდად. აქ საჭიროა, მომეტებულად საჭიროა, კეთილ-მორწმუნენო ქრისტიანენო, არა მარტო ჩვენი საშუალების მიღება, არამედ ზეციერი ძალა და მადლი; ხოლო ეს მადლი ზეცისა, ძმანო, მოგვენიჭება მხურვალე ლოცვით და ვედრებით. „იღვიძებდით და ილოცევდით, რათა არა შეხვიდეთ განსაცდელსაო“, გვამცნებს უფალი ჩვენი. მაშასადამე როგორც ჩვენ თავის თავად უნდა ვიხმაროთ ყოველი ზომები ბოროტების თავიდგან ასაცდენათ, აგრეთვე უნდა ვილოცოთ და ვევედროთ უფალსა, რათა მან „არ შეგვიყვანოს განსაცდელსა», რომლისა ატანაც არ შეგვიძლიან, და გვიხსნას ბოროტისაგან,“ რათა მან სახიერმან მოხედოს სიუძლურესა ჩვენსა და მოგვივლინოს თავის ყოვლად შემძლებელობის მადლი განსაწმენდლად ყოვლისაგან შეგინებისა სულისა და ხორცთასა, რათა «სულნი ჩვენნი წმინდა ჰყვნეს, ხორცნი უბიწოდ, გონებანი განგვიწმიდოს და გულის სიტყვანი განგვიმართლოს,“—რათა განწმედილნი ყოვლისაგან მწიკვლევანებისა ღირს გავხდეთ ხილვად მისსა, რომელიც თვით წმიდა არს და მხოლოდ წმიდათა შორის განისვენებს. გულ-მხურვალედ მივმართოთ, ძმანო, მას, „რომელიც ამაღლდა კაცობრივ და ბუნება ჩვენი ხრწნილებისაგან შესცვალა და შეერთებითა უზესთაესითა სრულიად წმიდა ჰყო—მივმართოთ და თვითოეულმან ჩვენგანმან ესრეთ ღაღად ვჰყოთ: „მეუფეო, უფალო იესო ქრისტე ღმერთო ჩვენო, წყაროო ცხოვრებისა და უკვდავებისაო, რომელმან მრავლისა სახიერებისათვის ხორცნი შეიმოსენ და ჯვარს ეცვ და დაიკალ ჩვენ უმადლოთა და ძვირის მოქმედთათვის, და თვისითა სისხლითა განაახლე განხრწნილი ცოდვითა ბუნება ჩვენი! ვნებათა მიმართ უკეთურობისათა შთავრდომილი გიღაღადებ, შეწევნისა ხელი მიპყარ, განსწმინდე მწიკვლი ცოდვათა, მიხსენ სიღრმისაგან ბოროტისა, განმანათლენ ნათლითა მით მიუაჩრდილებელითა შთავრდომილი ესე ბნელსა შინა, მიხსენ მე, ცოდვით დაცემათაგან სულისა ჩემისათა, მიხსენ მე ძეო ღვთისაო, მიხსენ აღმაღლებული ცოდვათა სულისათაო. ცხოვრებისა გზასა შეცთომილმან ცოდვითა და უსჯულოებითა, და გულის წყრომითა დავაბნელე ყოველივე სულისა ჩემისა სიკეთე: უწყი, უფალო, რამეთუ ამაოებასა მივემგზავსე და თიხა იგი თვით განწმედად ვერ შევძლებულვარ, ამისთვისცა აწ სასოებით მინდობილი წყალობისა შენისა, ვითარცა დავით, გიღაღადებ: შემიწყალე მე, ღმერთო ჩემო, შემიწყალე მე, შემოქმედო ჩემო, შემიწყალე მე, მხსნელო ჩემო, დიდითა წყალობითა შენითა. ამინ.

არქიმანდრიტი მაკარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



იერუსალიმ ქ

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქალაქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პალესტინა.

## სამზღვრები და სივრცე.

თავდაპირველი სახელი პალესტინისა (ებრაულად პელეშეტ *) იყო ხანაან, რადგან ამ ქვეყნის მცხოვრებნი რაცხდენ თავის-თავს ხანანის შთამომავლობად. ხანანი იყო შვილი ხამისა. ეს ქვეყანა დაიკავეს ებრაელებმა და უწინდელი მცხოვრებნი გააძევეს აქედგან; შემდეგ ამ ქვეყანას დაარქვეს სახელად ქვეყანა ებრაელებისა ანუ ქვეყანა იზრაილებისა. როცა ამ ქვეყნიდამ გადაასახლეს ებრაელები, მაშინ დაარქვეს ამ მხარეს იუდეელების ქვეყანა, რადგან მხოლოდ ერთმა იუდას შთამომავლობამ დაიკავა ეს ქვეყანა. ამიტომ რომაელებიც მუდამ ეძახოდენ ამ ქვეყანას იუდეას, იუდეელების მაზრას. ამ მაზრაში მათის ანგარიშით შედიოდა მთელი პალესტინა, თუმც ეს სახელი ერქვა მარტო პალესტინის ერთ ნაწილს და სახელდობრ სამხრეთ მაზრას. წინასწარმეტყველი უწოდებს პალესტინას წმიდა ქვეყანას, ხოლო ებრაელთადმი ეპისტოლეში ეს ქვეყანა იწოდება აღთქმის ქვეყნად (11, 9).

პალესტინის სამზღვრები ხშირად იცვლებოდენ დროთა ვითარებისა გამო. ძველი ხანაანის ქვეყანას ეკავა კარგა დიდი სივრცე. აღმოსავლეთით სამზღვრავდა იორდანე, დასავლეთით ხმელთა შუა ზღვა; სამხრეთით უწევდა სოდომ და გომორამდის და უსიახლოვდებოდა გაზსს; ჩრდილოეთით იწყებოდა ერმონიდამ და უწევდა სიდონამდის. როცა დავით მეფე და მისი ძე სოლომონი განაგებდენ ამ ქვეყანას, მაშინ ის უფრო ვრცელი იყო.

უმთავრესი ქალაქი პალესტინისა იყო იერუსალიმი, სადაც სცხოვრებდნენ მხოლოდ იუდეელები. მტრების თავ-დაცემისა გამო იუდეელების რიცხვი იერუსალიმში თან-და-თან კლებულობდა და იმათ ნაცვლად ეს ქალაქი ივსებოდა კერპთ თაყვანის მცემლებით. ის ადგილები პალესტინაში, საიდგანაც ებრაელებს აძევებდენ და სადაც მათ მაგიერ სახლდებოდენ კერპთ-თაყვანის მცემლები, აღარ ირიცხებოდენ პალესტინად.

როცა იესო ქრისტე მოვიდა ქვეყნად და იწყო ქადაგება, მაშინ მთელი პალესტინა სამ დიდ სამთავროდ იყოფებოდა: ერთ ნაწილს შეადგენდენ იუდეია და სამარია თავიანთი ნაპირა ქალაქებით, რომლებსაც განაგებდა ერობის პროკურატორი; მეორე ნაწილს შეადგენდა გალილეია და პერეია, რომლებსაც განაგებდა იროდე ანტიპა; მესამე ნაწილს შეადგენდენ: ბატანეია, ტრახონიტიდა, გავლონიტიდა, იტურეია, ავრანიტიდა, რომლებსაც განაგებდა იროდეს ძმა ფილიპე. ამ ზემოთ ხსენებულ ქალაქებს გარდა იყო კიდევ პალესტინაში პატარა ადგილები, რომლებშიდაც არ მისულა ქრისტე და არ უქადაგნია. უფრო შესანიშნავნი არიან ის ადგილები და ქალაქები, სადაც ქრისტე ჰქადაგებდა და რომლებიც ხშირად იხსენებიან ახალ აღთქმაში. გეოგრაფიული მათი მდებიარობა ადვილი წარმოსადგენია. სამი მაზრა: იუდეია, სამარია და გალილეია მდებარეობდენ ერთი ერთმანეთის ზემო იორდანეს და ხმელთა შუა ზღვის შუა—იუდეია იყო სამხრეთით, სამარია შუაზე, ხოლო გალილეია ჩრდილოეთით; რაც შეეხება პერეიას, ის შეიცავდა მთელს ბოლდანს იორდანეს იქითა ნაპირს სამხრეთით ფილიპეს სამფლობელოიდგან.

### გალილეია.

მცხოვრებ ხალხთა რიცხვი. — ნაზარეთი. — ნაიმი. — ტივერიადა. — კაპერნაუმი. — ტივერიადის ტბა.

სიტყვა გალილეია წარმოსდგა სიტყვის „გელილ ხაგოიმ"-მისაგან (კერპთ-თაყვანის მცემელთა გარემო, რომელსაც უწოდებდენ ამ ქალაქს. ამ ქალაქის მცხოვრებნი შესდგებოდენ ორი სხვა და-სხვა მერჯული ხალხისაგან, რომლის უმეტეს ნაწილს შეადგენდენ კერპთ-თაყვანის მცემელნი. Iლ საუკუნეში ეს პატარა კუთხე მშვენიერ ადგილს წარმოადგენდა თურმე. იოსებ ფლავის სიტყვებისაგან სჩანს, რომ აქ ყოფილა ზომიერი ჰავა, ბუნება მშვენიერი და მიწა კარგი ნიადაგისა. აქ ბლომად ყოფილა მშვენიერი საბალახოები, ტყიანი ადგილები, დაქანებულნი ტბისკენ. ტბა მუდამ სავსე ყოფილა მეთევზეების ნავებით. ტბის ნაპირები შემოსილნი ყოფილან მშვენიერი უბრალო და ნაყოფიერი მცენარეებით. განსაკუთრებით ნაყოფიერი ყოფილა ტბის ნაპირი დასავლეთის მხრით. ტალმუდი სწერს: „ქვეყანა ნეფთალიმისა ყველგან დაფარულია ნაყოფიერი მინდვრებითა და ვენახებითა; ამ ქვეყნის ხილი მეტად გემრიელია."

(შემდეგი იქნება).

---

*) ეს სიტყვა უწინ ნიშნავდა მხარეს, რომელიც მთლად ფილისტიმლიანებისაგან იყო დასახლებული და ამიტომ უფრო ნამდვილი იქნებოდა, რომ ამ ქვეყნისათვის ფილისტინა დაერქმიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## წერილი რედაქტორთან.

მ. რედაქტორო! ოთხი წელიწადია, რაც თქვენი რედაქტორობით გამოდის გაზეთი „მწყემსი“. ყოველ გაზეთს დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისათვის, მაგრამ სასულიერო გაზეთის მნიშვნელობა სამღვდელოებისათვის, იმ სამღვდელოებისათვის უმეტესად, რომელსაც არც ერთი სასულიერო ჟურნალი და გაზეთი არა აქვს, მეტად დიდია. ამ გვარი გაზეთი გარდა სხვა-და-სხვა ცნობებისა აძლევს სულიერ საზრდოს და და ბევრ საქმეო და სახელ-მძღვანელო კითხვებს უმარტებს სამღვდელოებას და განსაკუთრებით იმ მღვდლებს, რომელნიც ბედს რომელიმე მიყრუებულ სოფლებში მიუგდია და რომელთაც გარდა საეკკლესიო წიგნებისა არა მოეპოვებათ-რა. ასეთი მღვდლები მოკლებულნი არიან საშუალებას შეიტყონ, თუ რა ხდება მათ გარეშე. ყოველი საქმეო და განსამარტებელი კითხვა მათთვის საქმოდ რჩება, რადგან თვის გარეშე მათ არა ჰყავთ კაცი, რომელსაც მიმართონ ამ საქმეო კითხვების განსამარტებლად. სასულიერო გაზეთის საშუალებით კი ყოველ მღვდელს შეუძლია გაიგოს ის, რაც არ იცის, თუ კი ის გულმოდგინედ ადევნებს თვალ-ყურს ამ გვარ გაზეთს.

ამ სამი წლის განმავლობაში თქვენი გაზეთის საშუალებით ბევრმა საქმეო და სახელმძღვანელო კითხვებმა, რომელთა ცოდნა საჭირო არის ყველა სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურეპირთათვის, მიიღეს განმარტება. დღეს მე მსურს ერთი კითხვის განმარტებაზე მივაქციო გაზეთის ყურადღება და იმედი მაქვს, რომ რედაქცია განმარტავს ამ კითხვას.

თვითეულ საბლაღოჩინო მაზრაში სულ სხვა-და-სხვა წესი სუფევს სამრევლოსაგან შეკრებილი შემოსავლის განაწილების შესახებ მღვდელსა და მედავითნეს შორის. მაგალითად: ერთ საბლაღოჩინოში მედავითნეს, თუ მას შეუძლია აწარმოვოს საეკკლესიო საბუთები, ეძლევა შემოსავლისაგან მეოთხედი და, თუ არ შეუძლია საბუთების წარმოება,—მეხუთედი. ასეთ წეს-წყობილებას ამ მაზრის სამღვდელონი აფუძნებენ ყოვლად სამღვდელოს სიტყვიერ განცხადებაზე. ასეთივე წესი არსებობს ზოგიერთ სხვა საბლაღოჩინოშიაც. ზოგ საბლაღოჩინო მაზრაში კი სამრევლოსაგან შემოსავლის განაწილების შესახებ მღვდელსა და მის მედავითნეს შორის სულ სხვა წესია შემოღებული. აქ მედავითნეს შეუძლია საეკკლესიო საბუთების წარმოება, თუ არა, სულ ერთია, მას ყოველ შემთხვევაში მეოთხედი მიაქვს შემოსავლისაგან. ზოგ ალაგს მედავითნე მეოთხედს იღებს შემოსავლისაგან, მაგრამ თუ მან საეკკლესიო საბუთების წარმოება არ იცის და მღვდელი აწარმოებს ამ საბუთებს, მაშინ მღვდელი თავის შრომისათვის მედავითნეს ურიცხავს საშრომელს მის შემოსავლიდგან.

ამ კითხვის შესახებ არავითარიმე განკარგულება არ არის არც სასულიერო მთავრობისგან, არც კონსისტორიის წესდებულებაში და არც ბლაღოჩინების ინსტრუკციაშია ეს კითხვა განმარტებული. ამიტომ მოვმართავ თქვენს რედაქციას და ვითხოვ ამ საგნის შესახებ განმარტებასა.

მღვ. ის დ—ძე.

---

კონსისტორიის წესდებულებაში და ბლაღოჩინების ინსტრუკციაში, რასაკვირველია, არაფერი არ იქნება დაწერილი იმ მედავითნეებზე, რომელთაც საბუთების შედგენა და წარმოება არ შეუძლიათ; მხოლოდ ჩვენში არიან მედავითნენი, რომელთაც საეკკლესიო საბუთების წარმოება არ შეუძლიათ, თორემ მთელს რუსეთში ვერ ნახავთ ისეთ კრებულს, რომ მედავითნემ საბუთების წარმოება არ იცოდეს. ჩვენში, სამწუხაროდ, არა თუ მედავითნეთა, მღვდლების უმეტეს ნაწილსაც არ შეუძლია საეკკლესიო საბუთების წარმოება. იქ, სადაც არც მღვდელს და არც მედავითნეს საბუთების წარმოება არ შეუძლიათ, სხვას ჰქირაობენ და იმათ აწარმოებინებენ საბუთებს.

მედავითნენი სწორეთ ვალდებულნი არიან საეკკლესიო საბუთები აწარმოვონ, რასაკვირველია, მრევლის მღვდლის ზედამხედველობით და მინდობილებით, მაგრამ პასუხის მგებელი მაინც მღვდელია ყველა შეცთომაში. მედავითნეს თავისი ჯეროვანი წილი უნდა მიეცეს მღვდლისაგან, ე. ი. მეოთხედი, სადაც ერთი მედავითნეა, და მეხუთედი, სადაც ორი არის და საბუთების წარმოება თუ არ შეუძლია მედავითნეს, მისი საწარმოებელი სასყიდელი უნდა გადაიხადოს, რომელიც არ აღემატება 5-7 მანეთს წელიწადში. მადლობა ღმერთსა, რომ ეხლა ისეთი მედავითნეს აღარ ნიშვნენ, რომელთაც საბუთების წარმოება არ შეეძლება.

დიდათ სასურველია ყველასათვის, რომ ჩვენი სამღვდელოება ერთსა და იგივე წესს ადგეს ყველაფერში, მაგრამ დროთა ვითარებისა გამო ეს შეუძლებელია დღეს და იმედი კია, რომ შემდეგ დროში მოისპობა ის სხვა-და-სხვა გვარობა, რომელიც არსებობს დღეს სამღვდელოებაში როგორც საეკკლესიო საბუთების წარმოების შესახებ, ისე სხვა ზოგიერთ საეკკლესიო წესების შესახებაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# განცხადებანი.

## მიიღება ხელის-მოწერა 1887 წლისათვის ქართულ სასულიერო გაზეთს „მწყემსზედ" და „მწყემსი-"ს რუსულ დამატებაზე.

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და სახორციელო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა, რომელთა გამოცხადება შესაძლო იქმნება; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა გამო; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილის ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურე პირთ ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის ასრულებისათვის.

„მწყემსი" რუსული დამატებით 1887 გამოვა სურათებით. ქართული გამოცემა გამოვა სამჯერ თვეში და რუსული ორჯერ.

### ფასი გამოცემისა.

მთელი წლისა გაგზავნით. . . 5 მან.
ნახევარი — — . . . 3 —

«მწყემსი» რუსული გამოცემით:

მთელი წლის გაგზავნით . . . 6 მან.
ნახევარი — — . . . 4 —
ცალკე რუსული დამატება წლით 3 —
ნახევარი წლით . . . . . 2 —

წერილების გაგზავნა და პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება რედაქციაში, რომელიც იმყოფება დაბა ყვირილაში, რედაქტორის საკუთარს სახლებში.

გაზეთის დაბარება შეიძლება ამ ადრესით; **Въ Квирилу, въ редакцію „МЦКЕМСИ" (пастырь).** ყვირილაში, „მწყემსი"-ს რედაქციაში.

ისყიდებიან მღვ. დავით ღამბაშიძისაგან გამოცემული წიგნები:
თბილისში: გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში. ქუთაისში: ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. ყვირილაში: ყვირილის ნათლის-მცემლის ეკკლესიის საეკკლესიო ნივთების საწყობში და დ. ხონში წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

სახელდობრ:

**საქართველოს საეკკლესიო ისტორია**

ფასი უყდოთ—ცხრა შაური.

**ქართული ლოცვანი,**

ფასი უყდოთ 30 კ. და ყდით 45 კ.

მღვდელთათვის საიდუმლოების შესრულების დროს საჭირო

**სახელმძღვანელო წიგნი,**

ფასი ყდით ექვსი შაური.

ახალი სასულიერო კონსისტორიათა წესდებულება, ფასი ორი აბაზი.

**ახალი კარაბადინი,**

ფასი ყდით ერთი მან.

---

**ბლაღოჩინების საყურადღებოდ**

ბლაღოჩინები, რომელნიც მთელი საბლაღოჩინო ეკკლესიებისათვის დაიბარებენ შავი მეტრიკების და აღსარების სიებისათვის საჭირო ბლანკებს, მათ თითო კაპეიკათ გაეგზავნება ფურცელი ხსენებული საბუთებისა.

შინაარსი: რედაქციიდგან. — შემცდარი შეხედულობა. — საეკკლესიო წიგნების სიძვირის გამო. — ლექსი. — ნეკროლოგი. — ახალი ამბები და შენიშვნები. — წმიდა ნინა. — მომღვრებანი. — პალესტინა. — მღვდელთა საყურადღებოდ. — განცხადებანი.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. *Доз. цензурою Кутаисъ, 24 апрѣля, 1887 г.*

საკუთარი მსწრაფლ-მბეჭდავი რედაქციისა.